არსებული სიტუაციის
ამსახველი ფოტომასალა


BU-111-XO
04.07.18


04.07.18




04.07.18


6023
РУ-0.4 кВ



ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა
ჩუბინაშვილის ქუჩა №55
პურის ქარხანა



თბილისი
2018

თბილისის ერთ-ერთი გამორჩეული არქიტექტურული ობიექტი, ყოფ. პურის ქარხნის კონსტრუქტივისტული შენობა, ჩუბინაშვილის ქუჩის №55 მდებარეობს. ნაგებობა XX ს-ის 30-იანი წლების საბჭოთა არქიტექტურული ავანგარდის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია, თუმცა, არა აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

ჩუბინაშვილის ქუჩა – ყოფილი ანდრეევსკაია – ისტორიულად ჩუღურეთს განეკუთნება. ქუჩა XIX ს-ის მიწურულს მიხეილის პროსპექტის მიმდებარე მიწების ათვისების მიზნით გაიჭრა პროსპექტიდან ავჭალის მოედნის და რკინიგზის სადგურის მიმართულებით.

მე-XVIIIს. ტერიტორია, რომელზედაც დღეს პროსპექტი არსებობს –ეკალ-ბარდებით იყო დაფარული. 1800წ. ქალაქის გეგმაზე განაშენიანებული იყო მხოლოდ ვორონცოვის მოედნის ნაწილი, რომელსაც სოფ. კუკია უერთდებოდა. (სოფ. კუკია დაახლოებით იქ თავდებოდა სადაც ახლა მარჯანიშვილის ქუჩა გადის).




ამ მიწების აქტიური ათვისება, მხოლოდ 1818 წლიდან გერმანელ კოლონისტთა გადმოსახლების დროიდან იწყება. სწორედ გერმანელებმა კეთილმოაწყვეს ეს ტერიტორიები, გამოიყვანეს სარწყავი არხი და გააშენეს ბაღები და ბოსტნები. გერმა-ნელები გახდნენ თბილისის ბაზრებში ხილისა და ბოსტნეულის მთავარი მომწო-დებლები. განსაკუთრებით აქტიურად გაშენდა მიხეილის პროსპექტი ვერის ხიდის (ახ. გ.ტაბიძის ხიდის) აგების შემდგომ. 1860-იანი წლებისთვის ეს ტერიტორია ჯერ კიდევ აქტიურად არის გამწვანებული გერმანელთა ბაღებით, რომელთა ფრაგმენტები შემოგვრჩა ყოფ. ფილარმონიის (გოფილექტის) ვარდების (გორკის) არტოს და სხვა ბაღების სახით.

არქიტექტურული განაშენიანებიდან მიხეილის პროსპექტზე და მიმდებარედ აღსანიშნავია არქ. ალ.ზალცმანის კათოლიკური ეკლესია, სასტუმრო "ვეტცელი" –


არქ. .ბილფელდი, კინოთეატრი “აპოლო”, მარჯანიშვილის სახ. თეატრი ყოფილი “სახალხო სახლი” რეალური სასწავლებელი - უშ. ჩხეიძის ქუჩაზე და სხვა ძალზედ მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები, რომელთა უმეტესობა თბილისში მოღვაწე სახელგანთქმული არქიტექტორების ნახელავია.

საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებთან ერთად მიხეილის პროსპექტის სამხრეთი მხარე XIXს. შუა წლებიდან სამხედრო დანიშნულების ობიექტებს ეკავა: არტილერისტების, დივიზიონსა და მესანგრეთა საჯინიბოებს – ვაგზლის მოედანთან, იუნკერთა და კადეტთა სასწავლებლებს ყოფილი დიდიმთავრის (ახ. დ. უზნაძის) და კერძოდ მიხეილის პროსპექტზე.

მიხეილის პროსპექტის ე.წ. შემოსავლიანი სახლები ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სტატუსს ატარებს. ამ სახლების უმეტესობა კლასიცისტური ნალესი ფასადებითა და ეზოს მხარეს ხის გალერეა-შუშაბანდებით ხასიათდება. ეს თვისება გამოარჩევს ამ არქიტექტურას, როგორც XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისური საცხოვრებლის ნიმუშებს.



ყოფილი პურის ქარხნის ნაგებობა, სწორედ ასეთ გარემოში არსებობს. მის ირგვლივ და მიმდებარედ, XIX ს-ის მიწურულისა და XX ს-ის დასაწყისის საცხოვრებელი სახლები მდებარეობს. თუმცა ამავე უბანში რამოდენიმე ადმინისტრაციული ნაგებობა, სპორტული დანიშნულების ობიექტი და სასწავლო დაწესებულებაც არის განთავსებული.



აღნიშნული ეპოქა, რომლის დროსაც საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა ახალი სახელოვნებო ტენდენციების დამკვიდრებას პრინციპული ცვლილებებით აღნინიშნა საქართველოს ქალაქებსა და კერძოდ, თბილისშიაც. საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ისტორიული ქალაქების განაშენიანება სრულიად ახლებური მიმართების მსხვილმასშტაბიანი შენობებით გამდიდრდა. შენდებოდა სამრეწველო და საზოგადოებრივი შენობები, საცხოვრებელი კომპლექსები, ფუნქციონალიზმი და კონსტრუქტივიზმი გზას იკაფავდა მრავალსაუკუნოვან თბილისშიაც.

1920-30-იან წწ. თბილისის არქიტექტურაში სტილისტური თვალსაზრისით ორი მიმართულება არსებობდა, ერთი – ქართული ტრადიციული ფორმების და ძველი ქართული ხუროთმოძღვრული დეკორის გამოყენების ცდა არის. მეორე კი, ***კონსტრუქტივიზმის*** სახელით ცნობილი ფუქციურ-რაციონალისტური მიმართულება.

„ამ უკანასკნელის ისტორია საქართველოში გაცილებით ხანმოკლეა, თუმცა, მხატვრულ-არქიტექტურული სიახლის ძიების თვალსაზრისით, საყურადღებო შენობები დაგვიტოვა და, რაც მთავარია, არის რა გამოძახილი ჭეშმარიტად რუსული ფენომენისა, (რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა მსოფლიო არქიტექტურულ მემკვიდრეობაში), კონსტრუქტივისტული სტილის თბილისურ შენობებს სისადავე, გეომეტრიულობა, სიმკაცრე და ფორმის ლაკონურობა ახასიათებთ“.

პურის ქარხნის შენობის ისტორია 1928 წ. იწყება, როდესაც ***არქიტექტორ ნესტეროვის*** მიერ დაპროექტდა ქარხნის მთავარი კორპუსი. შენობა გადაწყვეტილი იყო ე.წ. კონსტრუქტივისტული არქიტექტურის სტილში და საბედნიეროდ, დღემდე მოაღწია თავდაპირველი ჩანაფიქრის იდენტურად.

პურის ქარხნის შენობა კონსტრუქტივისტული სტილის გარდა, ე.წ. „ქაღალდის არქიტექტურის“ ნიმუშიც გახლავთ, რომელიც ექსპრესიულობით, მხატვრულობით, თვითმყოფადობით გამოირჩევა და ეხმიანება თანადროული რუსი ცნობილი ავანგარდისტი არქიტექტორების პროექტებს, მაკეტებს და გრაფიკულ ნამუშევრებს (მელნიკოვი, ელ ლისიცკი, ლეონიდოვი და სხვ.).

1920-30-იან წწ. საქართველოში მოღვაწე თითქმის ყველა არქიტექტორმა განიცადა ამ სტილის ზეგავლენა. მათ შორის კალგინმა, მაჭავარიანმა, ჩისლიევმა, სევეროვმა და სხვებმა.

საინტერესოა, რომ ქართული ტრადიციული არქიტექტურის ზეგავლენა, ამ სუფთა ფუნქციონალურ სტილზეც დიდია, რის გამოც, შესაძლებლობა გვეძლევა ვილაპარაკოთ ***ქართულ კონსტრუქტივიზმზე***, რომელშიაც ფრთხილად, მაგრამ მაინც ამოსაცნობია ეროვნული არქიტექტურის ნიშნები.

მხატვრული გააზრებისა და სივრცის ორგანიზაციის თვალსაზრისით საყურადღებოა თბილისის ზოგიერთი კონსტრუქტივისტული შენობა, მათ შორის ე.წ. ყოფ. "Зария востока"-ს შენობა რუსთაველზე (1930წ.), საქართველოს ცეკას ყოფილი შენობა ჩიტაძეზე, კავშირგაბმულობის შენობა რუსთაველის გამზ. №12 (აღარ არსებობს); ე.წ. ტრამვაელთა სახლები აღმაშენებელზე.მათ შორის ***პურის ქარხნის შენობა*** ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია, რომელიც გადაძახილს პოულობს ვიტებსკის КИМ-ის ფაბრიკის მუშათა კომუნა-სახლის (1927-29წწ.) არქიტექტურასთან (არქიტექორი ვიშლესსკი). ორივე შენობის სამხრეთ ფასადების კიბის უჯრედის განათების ღიობების საფეხურებრივი განთავსება იდენტურია.





ასეთივე ხერხია გამოყენებული კიდევ უფრო ადრეულ ნაგებობებში, კერძოდ, პეტერ ბერენსის ელექტროკომპანიის კომპლექსის მთავარ ნაგებობაზე (ბერლინი, 1908წ.). ბერენსის ეს შენობა გერმანული ექსპრესიონიზმის საუკეთესო ნიმუშად არის მიჩნეული, შესაბამისად, თბილისის პურის ქარხანას კონსტრუქტივისტულ ელემენტებთან ერთად, ექსპრესიონიზმის ნიშნებიც ახასიათებს.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ პურის ქარხნის შენობის სივრცითი კომპოზიცია ქართული ხალხური არქიტექტურის მჟღერად აქცენტსაც შეიცავს. არქიტექტურულ კომპოზიციაში ჩართული სვანური კოშკის სტილიზებული ელემენტი, მნიშვნელოვანი ფორმაა XX ს-ის დასაწყისის ქართული არქიტექტურისათვის. ამ დეტალით არის გამდიდრებული საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის შენობა გუდიაშვილის ქუჩაზე (არქ. კალგინი) სხვ. თანადროული ნაგებობები. მნიშვნელოვანია, რომ ეს თემა საინტერესო იყო ასევე კონსტრუქტივისტი არქიტექტორებისთვისაც და 20-იანი წლების თბილისური შენობების დამახასიათებელი ელემენტი გახდა. 1924წ. თბილელექტროქვესადგურის შენობა; 1927წ. კინოსტუდიის კომპლექსის მთავარი შენობა; 1928წ. პურის ქარხნის შენობა; 1930-იანი წწ. თბილისის ტუბერკულოზის ინსტიტუტის შენობა (არქ. ლეონტიევი) და სხვ.








1920-30წწ. მიჯნაზე საბჭოთა ეპოქაში, შუასაუკუნებრივი ქართული ფორმით დაინტერესება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჩვენი ხუროთმოძღვრების ისტორიის მთლიანობის გააზრებისთვის. ვფიქრობთ, ამას თავისი წინაპირობა ჰქონდა როგორც XX ს-ის დასაწყისის ეროვნული არქიტექტურული ფორმებით გატაცების მხრივ, ასევე საქართველოში მოღვაწე არქიტექტორების ინტერესით ჩვენი ტრადიციული ხუროთმოძღვრების მიმართ. ცნობილი ფაქტია, რომ არქიტექტორები: კალგინი, სევეროვი, კალაშნიკოვი და სხვ., მონაწილეობდნენ ქართული ხორმოთმოძღვრული ძეგლების მეცნიერულ შესწავლასა და აზომვაში და შემდგომ თავიანთ შემოქმედებაში ასახავდნენ ამ ცოდნას.





„ქრონოლოგიურად ყოველი მომდევნო სტილი თბილისში ახალი ფორმების შემოსვლის და დამკვიდრების კვალდაკვალ, ადგილობრივი ტრადიციებით ნაკარნახევი სივრცით-კომპოზიციური ხერხებით მდიდრდება, რაც ახლებულ, მხოლოდ თბილისის არქიტექტურისთვის დამახასიათებელ სინთეზს და სივრცით აღქმას ბადებს. ეს „თბილისურად“ გარდაქმნის პროცესი ყველაზე უფრო თვალშისაცემი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაშია, თუმცა, სხვა საერო შენობებსაც ეხება“.

1920-30ᲬᲬ. არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ახალ სამშენებლო კონსტრუქციებს და მათ კვალდაკვალ ფასადების მოსაპირკეთებელ მასალას. ერთ შემთხვევაში ეს არის ხელოვნური ქვა – ტერაზიტი და ტერაზიტული ლესვა, რომელიც მოურთავი კონსტრუქტივისტული შენობების შემთხვევაში, სადა სიბრტყეებს ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ ფენესტრირებულ ზოლებად ენაცვლება.



რეკომენდაციები ობიექტის რეაბილიტაცია-ადამპტაციისათვის

პურის ქარხნის დღევანდელი მდგომარეობა დიდად არ განსხვავდება აუთენტური ჩანაფიქრისგან, თუმცა, სტატუსის უქონლობის გამო, შენობას დაკარგული აქვს რიგი ღირებული ელემენტებისა და მის ირგვლივ სივრცე დაკავებულია რამდენიმე შეუსაბამო მოცულობით, რომელიც ხელს უშლის ამ ღირებული არქიტექტურული ობიექტის სრულფასოვან აღქმას.





ასევე დაზიანებულია ობიექტის გალესილი კედლების ფაქტურა, ნალესობა ჩამოცვენილია და გაშიშვლებულია აგურის კედლები. საარქივო ფოტომასალაზე გამოკვეთილია ნაგებობის თავდაპირველი იერსახე, რომელიც კონსტრუქტივისტული სტილის ერთ-ერთ სრულყოფილ ნიმუშად წარმოდგება. ***აუცილებელია ნალესობის ფენის თავდაპირველი სახით აღდგენა, რადგანაც ეს ამ არქიტექტურის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია.***

ამჟამად, შენობაზე შეუსაბაო მინაშენებისა და მოუვლელობის გამო, სტილის ნიშნები ნელ-ნელა იკარგება. დაზიანებულია ობიექტის განათების ერთიანი სისტემა, რომელიც მინა-ბლოკებით იყო გააზრებული. ეს მნიშვნელოვანი დეტალი ხშირ შემთხვევაში დაკარგულია. ***აუცილებელია ნაკლული მინა-ბლოკის ელემენტების შევსება იდენტური მასალით.***




პურის ქარხნის ინტერიერი ფაქტობრივად აუთენტურია, რადგანაც მასში ყოველთვის იგივე ფუნქცია იყო შენარჩუნებული (ერთ-ერთ ფლიგელში დღესაც აცხობენ პურს). *იტენერიერის რკინა-ბეტონის კონსტრუქციის მხატვრულ-არქიტექტურული გამომსახველობა ისტორიულ ჭრილში მეტ ღირებულებას იძენს და საინტერესო თანაედროვე ადაპტაციის საშუალებას იძლევა.*





ცალკე აღნიშვნის ღირსია ქარხნის ლითონის ფირფიტებით გაწყობილი იატიაკი, რომელიც რამდენიმე ადგილზე სრულად არის შენახული რაც ასევე იძლევა ამ ღირებული ელემენტის აღდგენის შეასაძლებლობას.





ქარხნის შენობაზე რამდენიმე ღირებული ელემენტია შენახული, რომლის კონსერვაცია და შემდგომ ჩართვა ახალ პროექტში აუცილებელია. ასეთია მაგალითად; ძველი რკინის ჭიშკარი, ლითონის კიბეები და რამდენიმე ინდუსტრიული დანიშნულების ობიექტი.





ქარხნის ეზოში და წინა მხარეს შეუსაბამო მიშენებები აქვს, რომელთსაგან განთავისუფლება აუცილებელია ღირებული არქიტექტურული ობიექტის გამოსათავისუფლებლად. განსაკუთრებით ხელს უშლის შენობის აღქმას ქუჩის მხრიდან მიშენებული ადმინისტრაციული კორპუსი, სრულიად უსახური ნაგებობა.




წლების განმავლობაში ქარხანას დაკარგული აქვს მის წინ არსებული აუთენტური ღობის ელემენტი, რომელიც კარგად ჩანს თავდაპირველ პროექტში. ამჟამად ის მოსაზღვრული არის უბნისთვის დამახასიათებელის სხვა ობიექტიდან მოხსნილი ამპირული ლითონის ღობით, რომელიც არ შეესაბამება კონსტრუქტივისტული სტილის ობიექტს (თუმცა, თბილისური ეკლექტიკის გათვალისწინებით, ამ გარემოებასაც თავისი ხიბლი გააჩნია).




XX ს-ის დასაწყისის კონსტრუქტივისტული არქიტექტურის მიმართ, საყოველთაო ინტერესი არსებობს, რისი დამადასტურებელია მოსკოვის დეკალარაცია მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, ამ არქიტექტურული სტილის შენობების შეტანის შესახებ 2006წ., ასევე 2005 წ. ICOMOS-ის მიერ ამ მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის შექმნა. UNESCO-ს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობად აღიარებულია კონსტრუქტივისტული არქიტექტურის მთელი რიგი შენობები. ამ კონტექსტში თბილისური კონსტრუქტივიზმი ზემოაღნიშნული მთლიანობის ნაწილია, თუმცა მისი დაცვის მექანიზმები ჯერჯერობით არაადეკვატურია.

კარგი მაგალითია თავად პურის ქარხნის დღევანდელი მდგომარეობა, რომელიც სასწრაფო რეაბილიტაციას ითხოვს და იძლევა შესაძლებლობას თანამედროვე, გააზრებული ადაპტაციის შემთხვევაში თბილისისათვის ერთ-ერთ თვალსაჩინო ტურისტულ ობიექტად იქცეს.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი



ბიბლიოგრაფია

1. მ. მანია, მოდერნიზმი თბილისის არქიტექტურაში, „საქართველოს სიძველენი“, 2010.
2. ნ. ჯამბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორია, „არქიტექტურა“, 1971.
3. ვ. ბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორია. Ars Georgika.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 0 18 01580967

03/07/2018

შპს "სითი ლოფტი"-ს წარმომადგენელს პ. ხეჩუმაშვილს
დიდი დიღომი მეფე მირიანის ქ. N 103 ბ. 12;
თქვენს 2018 წ. 3 ივლისის განცხადებაზე

ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს
უფროსის მოადგილეს ბატონ ლაშა ჯოხაძეს

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში ჩუბინიშვილის ქ. 55 და კონსტიტუციის ქუჩების კვეთაზე დროებითი სამშენებლო დამცავი ღობის განთავსებას, რაზეც ითხოვთ წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი სქემის შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანხმობას და ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებას საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს წარმოდგენილ დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემას და არ არის წინააღმდეგი მოაწყოთ სამშენებლო დამცავი ღობე თანხმობის გაცემიდან 5 (ხუთი) თვის ვადით შემდეგი პირობების დაცვით:

- სამშენებლო დამცავი ღობე შეიღებოს შავ-თეთრი ან წითელ-თეთრი ზოლებით;
- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით წარმოდგენილი სქემის შესაბამისად;
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში და მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი;

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
38, Noe Ramishvili St. 0190, Thilisi, Georgia


ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 85 02
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02

- სამუშაოების დაწყების და დამთავრების შესახებ წინასწარ ეცნობოს საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურის ოპერატიულ დეპარტამენტს და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (ტელ: 241-85-04; 241-85-05);

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: 5 ფურცლად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი
/ საორგანიზაციო სამმართველო /
საგზაო მოძრაობის ზედამხედველობის
განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით


"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის სააქლაძო სამსახურის უფროსის მოადგილე
მ. მუმლაძე
02.07 2018
"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"
ქ. თბილისის საკრებულო კოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე
ლ. ჯოხაძე
2018
ჩუბინაშვილის ქ.
პურის ქ.
კონსტიტუციის ქ.
კოლექტი
ს/ს I სტადია
კვეთი I-I, II-II
1.0
2.5
55
6
6ა
6/2
50
15
19
17/53
20.0
8.7
საფეხმავლო ზონა
გაფრთხილების ზონა
3.25
1.26
3.24
8.2.1
20მ
40
20
ქვითარი
დროებითი საგზაო ნიშნები
პირობითი ნიშნები.
1.26 4 - ცალი
3.24 3 - ცალი
3.24 2 - ცალი
3.25 1 - ცალი
8.2.1 2 - ცალი
ქვითარი ციმციმა 3 - ცალი
ღობის ვერტიკალური მონიშვნა
ღობე
საქვეითო ნაკადის მოძრაობის მიმართულება
სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის მიმართულება
შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია „ოდმ 218.6.014-2014“ და საქართველოს კანონის №1830-რს საგზაო მოძრაობის შესახებ -ის მოთხოვნებით
1. ქვეითები სამუშაოთა წარმოების ზონაში მოძრაობენ სამშენებლო ღობით და ქოლგით დაცულ ტროტუარზე,
2. სამუშაოები იწარმოებს 2018 წლის ნოემბრის ბოლომდე.
საგზაო მოძრაობის სამეცნიერო ცენტრი
ბახტრიონის ქ. 12
☎ +995(32)38-35-84
email sctsgeorgia@gmail.com
შ.პ.ს „სითი ლოფტი“ ქ. თბილისი, ჩუბინიშვილის ქ, №55
სამშენებლო ღობის მოწყობა. საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი სქემა. საკონტაქტო პიროვნება ნინო ტელ. 577 32 22 62
საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი სქემა
ზელშეკრულება 04-25-01
დამკვეთი 40409934
თარიღი 15.05.2018
მ. 1:500

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/ფ 903-18

"14" 05 2018 წ.

დადგენილება №003499
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

14.05.2018წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2018 წლის 22 მარტის №003499 მითითება და 2018 წლის 16 აპრილის №003499 შემოწმების აქტი შედგენილი შ.პ.ს. "სითი ლოფტი"-ს (ს.კ. №404909934; მის: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, 26 მაისის სახელობის მოედანი) მიმართ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამშენებლო დარღვევისათვის და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ჩუბინაშვილი ქუჩა 55-ში, საკ. კოდი №01.16.01.008.003-ზე შ.პ.ს. "სითი ლოფტი"-ს მიერ განხორციელდა №1/3 შენობა-ნაგებობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები და №3/3 შენობა-ნაგებობის დემონტაჟი შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2018 წლის 22 მარტს შედგენილ იქნა მითითება №003499, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

2018 წლის 16 აპრილს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ, შედგა შემოწმების აქტი №003499, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

საქმეშია, შ.პ.ს. "სითი ლოფტი"-ს წარმომადგენლის გიორგი მულაძის 2018 წლის 04 მაისის №19/011812424l6-17 განცხადება, რომლითაც მხარე ეთანხმება, სამსახურის 2018 წლის 22 მარტის №003499 მითითებაში დაფიქსირებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით გათვალისწინებული ზომების გატარებას.

ვინაიდან შ.პ.ს. "სითი ლოფტი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-

ს 44-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ჩუბინაშვილი ქუჩა 55-ში, საკ. კოდი №01.16.01.008.003-ზე შ.პ.ს. "სითი ლოფტი"-ს მიერ განხორციელდა №1/3 შენობა-ნაგებობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები და №3/3 შენობა-ნაგებობის დემონტაჟი შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების. შესახებ", საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 44-ე მუხლის მე-2 ნაწილით, **დავადგინე:**

1. **შ.პ.ს. "სითი ლოფტი"** დაჯარიმდეს 4000 (ოთხი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ჩუბინაშვილი ქუჩა 55-ში, საკ. კოდი №01.16.01.008.003-ზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, №1/3 შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციისთვის და №3/3 შენობა-ნაგებობის დემონტაჟისთვის.

2. **შ.პ.ს. "სითი ლოფტი"-ს** დაევალოს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. "სითი ლოფტი"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დამრღვევს დაერიცხება საურავი დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძველის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება დაკისრებული ჯარიმის

გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (ქ. თბილისში, ჟ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე მამუკა ჯაყელი

ელექტრონული საგადახდო დავალება No 60329

Transfer Order No 60329

იგრძენი მომავალი საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

თარიღი/Date: 15/06/2018 რეფერენს ნომერი/Reference number: 6722270277

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს სითი ლოფტი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE39BG0000000346924100GEL

თანხა/Amount
4000 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს სითი ლოფტი

საიდენტიფაკიო კოდი/Number Taxpayer
404909934

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
15/06/2018

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
15/06/2018

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება 003499 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე 14 05 2018 4-1/დ 903-18

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შეიქმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ელექტრონული საგადახდო დავალება No 60329

Transfer Order No 60329

იგრძენი მომავალი საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

თარიღი/Date: 15/06/2018 რეფერენს ნომერი/Reference number: 6722270277

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს სითი ლოფტი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE39BG0000000346924100GEL

თანხა/Amount
4000 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს სითი ლოფტი

საიდენტიფაკიო კოდი/Number Taxpayer
404909934

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
15/06/2018

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
15/06/2018

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება 003499 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე 14 05 2018 4-1/დ 903-18

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შეიქმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.16.01.008.003**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882017884630 - 22/09/2017 14:17:00

მომზადების თარიღი
22/09/2017 15:02:22

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ჩუღურეთი		
01	**16**	**01**	**008/003**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩუბინაშვილი , N 55

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 3330.70 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**8;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობები

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882017884630 , თარიღი 22/09/2017 14:17:00
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/09/2017

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ფასის გადახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N171116665 , დამოწმების თარიღი:22/09/2017 ,ნოტარიუსი დ. ოყროშიძე

მესაკუთრეები:
შპს "სითი ლოფტი" , ID ნომერი:404909934

მესაკუთრე:	აღწერა:
შპს "სითი ლოფტი"	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882014531886 თარიღი 06/10/2014 14:19:59	**გამქირავებელი: შპს "სითი ლოფტი"** 404909934; **დამქირავებელი: შპს "ჯეოსელი"** 203841940; საგანი:20 კვ.მ. ფართი სახურავზე; საბოლოო თარიღი:06/10/2017;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 10/10/2014	**ქირავნობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი06/10/2014, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015723921 თარიღი 18/12/2015 13:16:35	**მეიჯარე: შპს "სითი ლოფტი"** 404909934; **მოიჯარე: შპს "მობიტელი'** 204450584; საგანი:მე-4 სართული, ფართი 10 კვ.მ.; საბოლოო თარიღი:01/11/2018;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 24/12/2015	**იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი08/02/2013, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (უფლების რეგისტრაცია : ნომერი 882013050264; თარიღი 08/02/2013) ,** **2013 წლის 08 თებერვლის ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება N1, დამოწმების თარიღი18/12/2015, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,**

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882017884630 თარიღი 22/09/2017 14:17:00	**გამყიდველი: შპს "კოლხეთი 90"** 202886305; **მყიდველი: შპს "სითი ლოფტი"** 404909934; საგანი:მიწის ნაკვეთი ფართით 3330.70 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები; მყიდველი ვალდებულია გამყიდველს გადაუხადოს ნასყიდობის ფასი, ხელშეკრულების შესაბამისად. ნასყიდობის ფასის სრულად დაფარვამდე მყიდველს გამყიდველის წინასწარი წერილობითი და ნოტარიულად დამოწმებული თანხმობის გარეშე ეკრძალება ნასყიდობის საგნის გასხვისება, იპოთეკით ან/და აღნაგობის უფლებით დატვირთვა, სერვიტუტით ან/და უშუალოდ გადაცემა, ნასყიდობის საგნის გამიჯვნა ან/და გაერთიანება სხვა საგანთან.;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/09/2017	**ნასყიდობის ფასის გადახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N171116665, დამოწმების თარიღი22/09/2017, ნოტარიუსი დ. ოყროშიძე**

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge